კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის მედიის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ციფრული კომუნიკაცია და მედია-არტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	**Digital Communication and Media Arts**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0211
ქართულად:	**ციფრული მედიის ბაკალავრი**
ინგლისურად:	**Bachelor of Digital Media**
პროგრამის დამტკიცების თარიღი	ბრძანება #01/01-82, 09.12.2024
პროგრამის განახლების თარიღი	-
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	**ანა მგალობლიშვილი,** აფილირებული პროფესორი; **გიორგი სალუქვაძე,** აფილირებული ასისტენტ-პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 ECTS

ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო განმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს.

- I წელიწადი - 60 კრედიტი
- II წელიწადი - 60 კრედიტი
- III წელიწადი - 60 კრედიტი.

შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი, ხოლო დასაშვები ვადა 5 აკადემიური წელი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით და მოიცავს პირველ (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრებს. თითოეული სემესტრი მოიცავს 30 კრედიტს. სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიპოვოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, გამოცდა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 136 ECTS;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევნითი კომპონენტი: 30 ECTS (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 20 ECTS);
- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი: 14 ECTS (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0

დონიდან, 24 ECTS);

- თავისუფალი არჩევითი კომპონენტი: თავისუფალი კრედიტები 10 ECTS.

მოდულებში საგნების თანმიმდევრობა ემსახურება პროგრამით დასახული მიზნების მიღწევასა და სტუდენტის მიერ დარგში ღრმა ცოდნის, ეფექტური პრაქტიკული უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

კავკასიის მედიის სკოლის ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება	
პროგრამის მიზანი	თანამედროვე სწრაფადგანვითარებად სამუშაო ბაზარზე ციფრული კომუნიკაციისა და მედიახელოვნების სფეროში გაიზარდა მოთხოვნა მრავალმხრივი უნარების მქონე პროფესიონალებზე. ამასთან ერთად, გახშირდა სფეროში არსებულ პროფესიებს შორის მიგრაციები, რისთვისაც დარგის სპეციალისტებს სჭირდებათ ჰქონდეთ როგორც სფეროს შესახებ კომპლექსური ხედვები, ასევე, ფართო პროფილის ცოდნა, უნარები და გარკვეული მოქნილობა ერთი სფეროს შიგნით მიმართულებიდან მეორეში ადვილად ადაპტაციისთვის. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კავკასიის მედიის სკოლის ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის მრავალსპექტრიანი შესაძლებლობა მისი სტუდენტებისთვის, სწავლების პროცესი კი გააერთიანებს რამდენიმე კომპონენტს: - ხელოვნების სხვადასხვა კლასიკური დარგების როგორც თეორიულ მიმართულებებს: მხატვრობა, მუსიკა, ლიტერატურა, თეატრალური ხელოვნება, ასევე, პრაქტიკულ ასპექტებს საშემსრულებლო ხელოვნებასა და არტში: შემოქმედებითი კომუნიკაცია, პერფორმანსის ხელოვნება, ხატვა; - თანამედროვე ტექნოლოგიებს ციფრული კომუნიკაციის მიმართულებით; - მართვას, რომლითაც სტუდენტი შეძლებს ზემოხსენებული შემოქმედებითი და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სახელოვნებო, სოციალურ, კულტურულ თუ სხვა ტიპის პროექტების მენეჯმენტში. ციფრული კომუნიკაციისა მედია-არტის საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულ თანხვედრაშია როგორც კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან, სკოლის მიზნებსა და განვითარების სტრატეგიასთან, ასევე, ის ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს; აღნიშნული პროგრამის მიზანია, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს: **მიზანი N1:** კლასიკური ხელოვნების დარგების, პერფორმატიული სახელოვნებო სფეროს, განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიების მულტიპროფილური და კომპლექსური ცოდნა-გამოყენების უნარი; **მიზანი N2:** მსჯელობის, ანალიზის, მოსაზრებების ჩამოყალიბების; მოსმენის, დისკუსიის, პრეზენტაციის; პროფესიული საკითხების შემოქმედებითი კვლევის მაღალი სტანდარტის აკადემიური წერისა და ვერბალური კომუნიკაციის უნარები. **მიზანი N3:** თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ციფრული პლატფორმებისთვის ფოტო-აუდიო-ვიდეო, ტექსტური, გრაფიკული პროდუქტების შექმნის უნარი; ვებსაიტებისა და სოციალური ქსელების შინაარსის კრეატორობისა და მართვის უნარი; პრობლემების შემოქმედებითი (კრეატიული), ინოვაციური და ექსპერიმენტზე დაფუძნებული გადაჭრის უნარი; **მიზანი N4:** მენეჯერული უნარები, შეძლოს იყოს ლიდერი გუნდში, სწრაფად ადაპტირდეს სფეროში არსებულ სიახლეებთან, დანერგოს და განავითაროს იდეები,

	მართოს პროექტები სფეროსა და მის მომიჯნავე სექტორებში. მათი საშუალებით შეძლოს როგორც საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე, კულტურულ-სოციალურ ცხოვრებაში დადებითი დინამიკის შეტანა. **მიზანი N5:** პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და იმის ცოდნა, თუ რა ვალდებულებებს აკისრებს მას სფეროში არსებული გამოწვევები. ეს უკავშირდება კურსდამთავრებულის, როგორც ციფრული კომუნიკაციისა და მედიახელოვნების სპეციალისტის როლს დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესში.
პროგრამის სწავლის შედეგები	ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო აკადემიური პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტებს, რომელთაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. **შედეგი N1:** წერილობით და ვერბალურად გადმოსცემს კლასიკური ხელოვნების დარგების პროფილურ ცოდნას (სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა); აღწერს, განმარტავს და აანალიზებს ეპოქების, ხელოვნების ჟანრებისა და კონკრეტული პროდუქტების შინაარსს; მიმოიხილავს, მსჯელობს, სინთეზირებს ლიტერატურულ, დრამატურგიულ, აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებებს; **შედეგი N2:** ციფრული კომუნიკაციისა და მედიახელოვნების სფეროში, დემონსტრირებს საკითხების კვლევას, მოსაზრების ჩამოყალიბებას; გამოხატავს პროფესიულ საკითხებზე კომპეტენტურ მოსაზრებებს, მსჯელობს კრიტიკულად; მონაწილეობს დისკუსიაში, მუშაობს ინდივიდუალურად და ჯგუფურად. როგორც ვერბალურად, ასევე, წერილობით, აკადემიური წერის სტანდარტების, მისი ეთიკური პრინციპებისა და კეთილსინდისიერების დაცვით; პრეზენტირებს პროფესიულ საკითხებს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის წინაშე; **შედეგი N3:** სხვადასხვა ფორმატში, გამოყენებით დონეზე იღებს, ამონტაჟებს ფოტო-ვიდეო მასალას; აკონვერტირებს იდეებს აუდიო-ვიზუალურ ფორმატებში; იყენებს ციფრული თხრობის ტექნიკებს; ხატავს ციფრულად, მოძრაობაში მოჰყავს ნახატი; ილუსტრირებს მასალას გრაფიკულ დიზაინში, 3D პროგრამაში; აგებს ვებ-კოდინგის სისტემას; **შედეგი N4:** გეგმავს, ავითარებს, მართავს, აფასებს და იყენებს პერფორმატიული სახის სახელოვნებო პროდუქტს; **შედეგი N5:** გეგმავს და მართავს, აფასებს შედეგებს ციფრული კომუნიკაციისა და მედიახელოვნების (მომიჯნავე) სფეროს პროექტებში; მენეჯნეტის პროცესში ავითარებს თანამედროვე მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიის სტრატეგიებს; სწრაფად ადაპტირებს ახალ, კონკურენტულ და მულტიდისციპლინურ გარემოში; იღებს გადაწყვეტილებებს; **შედეგი N6:** სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერპრეტირებს მიღებულ ცოდნას ახლებურად, ძველი მოცემულობის შეცვლისა და ახალი მხატვრული ფორმების ძიებისას; პროცესში იყენებს ინოვაციურ და კრეატიულ მიდგომებს;

	შედეგი N7: აკვირდება და მიმოიხილავს საზოგადოებრივ საკითხებსა და კულტურულ ტენდენციებს; შემოქმედებითად იკვლევს თემებს, პროცესში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით და ოპერირებს ისე, რომ მისმა იდეებმა და პროდუქტებმა საზოგადოების კულტურულ-სოციალურ ცხოვრებაში დადებითი დინამიკა შეიტანოს; **შედეგი N8:** აანალიზებს, იზიარებს და იცავს ციფრული კომუნიკაციისა და მედიახელოვნების სფეროში არსებულ ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს; თავისი საქმიანობით ის ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და პოპულარიზაციას, საკუთარი წვლილი შეაქვს ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში.
დასაქმების სფეროები	ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო აკადემიური პროგრამის კურსდამთავრებულის ფართო პროფილის დასაქმების სფეროებია: - სახელოვნებო დაწესებულებები, როგორც ციფრული კომუნიკაციის სხვადასხვა მიმართულების, ასევე, არტ-მენეჯმენტის სფეროში; - საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორები, საერთაშორისო ორგანიზაციები ციფრული კომუნიკაციისა და სოციო-კულტურული პროექტების განვითარება-მართვის მიმართულებით; - მედიასაშუალებები - ციფრული მედიის, ასევე, სოციალური და კულტურული მედიაპროექტების იდეების განვითარება-მართვის მიმართულებით; - კონცეპტუალური და მულტიფუნქციური სივრცეები (ე.წ. ბრაუნდფილდები), ფესტივალები, როგორც მედია-არტის ციფრული მომსახურების, ასევე, იდეების გენერირებისა და აღსრულება-მართვის მიმართულებით; - კრეატორული პოზიციები დამოუკიდებელ სტუდიებში, მედიებში, პიარ და მარკეტინგულ კომპანიებში, სარეკლამო სააგენტოებში; - ხელოვნებისა და კომუნიკაციის სფეროს კვლევითი პროექტები. ზემოხსენებულ სფეროებში კურსდამთავრებულს დასაქმება შეუძლია საქართველოშიც და საზღვარგარეთაც.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	ციფრული კომუნიკაციისა და მედია არტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\ მოდული	სწავლების წელი						ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
სავალდებულო სასწავლო კურსები I აკადემიური წელი										
1.	DIG 1130	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები	6						
2.	ACAW 1132	არ აქვს	აკადემიური წერა	4						
3.	DRAW 1136	არ აქვს	რეპრეზენტატიული ხატვა	5						
4.	SPCH 1137	არ აქვს	პრეზენტაცია და პრეზენტაბელურობა	5						
5.	ART 1134	არ აქვს	არტ-ტაიმლაინი	5						
6.	ENGL 0005 ENGL 0007	არ აქვს ENGL 0006	ზოგადი ინგლისური B1.0/B2.0	5						
7.	DIG 1230	არ აქვს	შემოქმედებითი კომუნიკაცია		5					

8.	PSYC 1234	არ აქვს	კომუნიკაციის ფსიქოლოგია		5					
9.	MUS 1235	არ აქვს	მუსიკის კოდი		5					
10.	COMM 1231	არ აქვს	კომუნიკაციის ლაბი		4					
11.	DIG 1231	DRAW 1136	ციფრული ხატვა და ანიმაცია		6					
12.	ENGL 0006 ENGL 0008	ENGL 0005 ENGL 0007	ზოგადი ინგლისური B1/B2		5					
სავალდებულო სასწავლო კურსები II აკადემიური წელი										
13.	DIG 1337	არ აქვს	ლიტერატურა და კრეატიული წერა			5				
14.	WEB 2330	არ აქვს	ინტერაქტიული ვებ-დიზაინი და კოდინგი			6				
15.	CULT 2331	არ აქვს	კულტურა და პოლიტიკა			5				
16.	MENG 2333	არ აქვს	მენეჯმენტი და პროექტების მართვა			5				
17.	DIG 2334	PSYC 1234 SPCH 1137	მსახიობის ოსტატობა			4				
18.	ENGL 0007 ENGP 1134	ENGL 0006 ENGL 0008	ზოგადი ინგლისური B2.0 PT პროფესიული სამიზნე ენა			5				
19.	ADV 2330	არ აქვს	რეკლამა და “კოპირაითინგი”				4			
20.	DIG 2430	არ აქვს	მარკეტინგული ციფრული კომუნიკაცია				6			
21.	DIG 2431	COMM 1231	ციფრული თხრობა და მულტიმედიური კომუნიკაცია				4			
22.	DIG 2433	არ აქვს	ციფრული ობიექტივი - ეკრანული როლების ხელოვნება				5			
23.	PER 2430	DIG 2334	პერფორმანსის ხელოვნება				6			
24.	ENGL 0008	ENGL 0007	ზოგადი ინგლისური B2				5			
სავალდებულო სასწავლო კურსები III აკადემიური წელი										
25.	MUSE 3530	MENG 2333	საკურატორო და სამუზეუმო საქმე					5		
26.	INT 3530	არ აქვს	ინტელექტუალური საკუთრების და სოცმედიის სამართალი					4		

27.	MOD 3530	DIG 1231	3D მოდელირება და დიზაინი					6		
28.	MULT 3530	COMM 1231	მულტიმედია ინსტალაცია					5		
29.	ENGP 1134	ENGL 0008	PT პროფესიული სამიზნე ენა					5		
30.	FIN 3630	პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ყველა სავალდებულო კომპონენტი	ფინალური პროექტი						15	
არჩევითი სასწავლო კურსები IV-VI სემესტრები										
31.	DIG 3530	არ აქვს	ქორეოგრაფია / ცეკვა				5			
32.	MSC 3630	არ აქვს	ვიზუალური კულტურა თეორიასა და პრაქტიკაში				5			
33.	MED 3530	არ აქვს	მედიაწიგნიერება				5			
34.	DIG 3634	არ აქვს	ციფრული ტექნოლოგიები და გარემო				5			
35.	STRA 3631	MENG 2333	სტრატეგიული კომუნიკაცია მედიასა და ხელოვნებაში				5			
36.	PR 3536	MENG 2333	PR ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა				5			
37.	SOC 3630	არ აქვს	სოციოლოგია				5			
38.	ANT 3530	არ აქვს	ანთროპოლოგია				5			
39.	SER 3630	ACAW 1132	სახელოვნებო კვლევა				5			
40.	INT 3532	არ აქვს	ინტერკულტურული კომუნიკაცია				5			
41.	DIG 0001	პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს I-III სემესტრების ყველა სავალდებულო კომპონენტი	საველე პრაქტიკა				5			
42.	FREE 0040	შესაბამისი წინარეკვიზიტის	თავისუფალი კრედიტი 1				5			

		დაცვით						
43.	FREE 0041	შესაბამისი წინარეკვიზიტის დაცვით	თავისუფალი კრედიტი 2				5	
	შენიშვნა: არჩევით სასწავლო კურსებსა და აქტივობებს მითითებული აქვს IV-VI სემესტრები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მისი არჩევა შეუძლია ნებისმიერ მითითებულ სემესტრში.							

ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
	წელიწადში	60		60		60		

შენიშვნა:

თავისუფალი კრედიტების სისტემა:

სტუდენტთა აკადემიური ინტერესის უფრო სრულად დაკმაყოფილების, ციფრული კომუნიკაციისა და მედია-არტის ინდუსტრიასთან კავშირის გაძლიერების მიზნით, კავკასიის მედიის სკოლა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, პროგრამის დასრულებისათვის საჭირო 180 ECTS კრედიტიდან 10 დააგროვოს თავისუფალი, 5 კი - ალტერნატიული გზით - საველე პრაქტიკით. ამისთვის სტუდენტს შეუძლია:

- არჩევითი საგნების ნაცვლად გაიაროს მისთვის საინტერესო საგნები კავკასიის უნივერსიტეტის სხვა სკოლებში, ან პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებში, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, წინარეკვიზიტის დაცვით – მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი;
- არჩევით სასწავლო კურსად გაიაროს საველე პრაქტიკა მისთვის საინტერესო ორგანიზაციაში - მაქსიმუმ 5ECTS კრედიტი. საველე პრაქტიკა სტუდენტს შეუძლია გაიაროს, როგორც სწავლის პერიოდში, ასევე, ზაფხულის განმავლობაში. სტუდენტს ასევე, აქვს შესაძლებლობა საველე პრაქტიკის ფარგელბში სემესტრის განმავლობაში პრაქტიკულად, პროფესიული პროფილით იმუშაოს კავკასიის უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისთვის, ან კავკასიის მედიის სკოლის სხვადასხვა სტუდენტური პლატფორმის, პრაქტიკული და კვლევითი პროექტისთვის. საველე პრაქტიკასთან დაკავშირებული ფორმები მოცემულია დანართში.